ხელშეკრულება № 159

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი „22“ „09“2011წ.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია „საქართველო“ (შემდგომში „შემსრულებელი“), წარმოდგენილი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის, გენერალური მდივნის დიმიტრი გეგენავას სახით და მეორეს მხრივ სსიპ „კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი“ (შემდგომში „დამკვეთი“), წარმოდგენილი ხელმძღვანელის ავთანდილ დემეტრაშვილის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. ხელშეკრულების ობიექტია შემსრულებლის მიერ საქართველოს კონსტიტუციის 56, 57, 60, 70, 71, 88, 89, 90, 94-ე მუხლებთან საქართველოს საკანონმდებლო აქტების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შესაბამისი კანონპროექტების მომზადება.

1.2 კანონპროექტები მომზადებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ფორმით (CPV-75100000 ადმინისტრაციული მომსახურება).

1.3 კანონპროექტი შესრულებული უნდა იქნას აკადნუსხურით 11-იანი შრიფტით, სტრიქონებს შორის დაშორება უნდა იყოს 1,5.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1500.00 (ერთი ათას ხუთასი) ლარს ყველა გადასახადის ჩათვლით.

3. ხელშეკრულების საფუძველი

3.1. საქართველოს კანონი „საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“

3.2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტი.

4. მომსახურების გაწევის ვადები

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება გაწეული უნდა იქნას მიმდინარე წლის 22 სექტემბრიდან მიმდინარე წლის 24 ოქტომბრის ჩათვლით;

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით, ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდეგ 15 (თხუთმეტი) საბანკო დღის განმავლობაში;
5.2. უნაღდო ანგარიშსწორება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1 დამკვეთი უფლებამოსილია მომსახურების პარალელურად განახორციელოს ინსპექტირება, ხელშეკრულებასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
7.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას დამკვეთის მხრიდან განახორციელებს დამკვეთის წარმომადგენელი;
7.3 ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესახებ დამკვეთი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს შემსრულებელს;
7.4 დარღვევების აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;
8.2. თუ რაიმე, წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი მოსაზრებები წერილობითი ფორმით;
8.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით.

9. ფორს-მაჟორი

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორსმაჟორული გარემოებების შედეგი;
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორსმაჟორი" ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მისი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

10. დავის გადაწყვეტა

10.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით;
10.2. ურთიერთშეთანხმებით დავის გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია დავის გადასაჭრელად, დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შემსრულებელს არ აქვს ფასების გადასინჯვის უფლება, თუ იგი გამოიწვევს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების ზრდას;
11.2 შემსრულებელს არ აქვს უფლება დამკვეთის წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისთვის უფლებების გადაცემა;
11.3 ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი შეუსრულებლობა მხარეთა შორის დადებული შეთანხმების გარეშე, გამოიწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საჯარიმო სანქციებს;
11.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. დასკვნითი დებულებები

12.1. ისეთ შემთხვევებში, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებაში, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

12.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა შემსრულებლს, მეორე კი დამკვეთს.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსრულებელი	**დამკვეთი**
ა(ა)იპ ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია „საქართველოს" პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი გენ. მდივანი	სსიპ „კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი"-ს ხელმძღვანელი
დ. გეგენავა	ა. დემეტრაშვილი
სს ბანკი "რესპუბლიკა" ბანკის კოდი: 220101757 ანგ. ნომ: 10738206117 საიდ. კოდი 205279090 ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №3	სახელმწიფო ხაზინა სახაზინო კოდი 0516 საიდ/კოდი 204578242 ქ. ბათუმი, მელაშვილის ქ. №26